ხელშეკრულება №436
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბორჯომი **20 სექტემბერი 2019 წელი**

ერთი მხრივ, **ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის - ლევან ლიპარტიას სახით და მეორე მხრივ, **ი/მ „ბესიკი ექსეულიძე“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი ბესიკი ექსეულიძის სახით, „სახელმწოფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" მე–8 მუხლის 33-ე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მუნიციპალიტეტი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი ასრულებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების გაწევას და იღებს შეთანხმებულ ანაზღაურებას.

1.2 ერთი წლის განმავლობაში ვებ-გვერდის (www.borjomi.gov.ge) ჰოსტინგით უზრუნველყოფას, (**ჰოსტინგი** არის მომსახურება, რომელიც მომხმარებლისთვის მონაცემთა ცენტრში, სერვერზე სპეციალური სივრცის გამოყოფას გულისხმობს. მისი დახმარებით, მომხმარებელს სასურველი ინფორმაციის – ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, მონაცემთა ბაზის და ა.შ. – ინტერნეტში გავრცელება შეუძლია.), რომლის მოცულობაც წარმოადგენს 10 GB. **საიტის შექმნა** გულისხმობს ვებ. გვერდზე ამჟამად შექმნილი ყველა გვერდის სრულყოფილად ამუშავებას; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ელექტორნული გვერდის ფუნქციურად შექმნას; ონლაინ ფორმის დახმარებით მოქალაქის მიერ სასურველი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, კატეგორიების: მიმდინარე ტენდერების, აუქციონების, პროექტების არქივის, სააგენტოების, ტელევიზიების, ფოტო - ვიდეო გალერიის, პრეზენტაციების ამოქმედებას; ასევე ვებ. გვერდზე ინგლისური ენის დამატებას; ვებ გვერდის სისწრაფის გაზრდასა და ყველა არსებული ხარვეზის აღმოიფხვრას. ვებ-საიტის გამართვას თვითმმართველობის ინდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

1.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV72400000/72415000.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1290 (ერთი ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარს.**

2.2 ღირებულება შედგება: საიტის შ - 1200 ლარი, ჰოსტინგის ღირებულება - 90 ლარი.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. მომსახურების მიწოდების ვადა

3.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1 ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

4.2 შემსრულებელი აცხადებს, რომ მას გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის. შემსრულებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე.

4.3 შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსათვის.

4.4 მუნიციპალიტეტს უფლება აქვს მოთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ჯეროვანი შესრულება.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

5.2 მუნიციპალიტეტს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ თუ, შემსრულებელი არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების გაფორმების უფლბამოსილება მიენიჭოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან და მედია საშუალებებთან ურთიერთობის საკითხებში, მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.
8.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9. ინტერესთა კონფლისტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქუჩა #5
ს/კოდი: 226161961
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი 300629921

„მიმწოდებელი“
ი/მ „ბესიკი ექსეულიძე“
ს/კ: 18001070976
სს “საქართველოს ბანკი”
ა/ნ: GE67BG0000000312821500
თბილისი, შარტავას ქ. №35 ა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი
ლევან ლიპარტია

ი.მ. ბესიკი ექსეულიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი

ხელმოწერილია/შტამპდარტყმულია ელექტრონულად